



კონკურსი „ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის“

განაცხადის ფორმა

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო იწვევს ბიზნეს კომპანიებს მიიღონ მონაწილეობა აქციაში, რომელიც ხელს უწყობს ქალების განათლებასა და პროფესიულ განვითარებას სამუშაო ადგილებზე.

აღნიშნული კონკურსი ეფუძნება გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს გლობალური შეთანხმების ოფისის თანამშრომლობის ინიციატივას, კერძოდ ქალთა უფლებების გაფართოების მეოთხე პრინციპს - ქალების განათლების, სწავლებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

კერძო კომპანიებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში ქვემოთ მოცემული განაცხადის ფორმის შევსების გზით. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო გამოავლენს იმ კომპანიებს, რომლებიც წარმატებით ამკვიდრებენ ქალების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის კორპორატიულ კულტურას. ხოლო 2018 წლის მარტში გაიმართება გამარჯვებული კომპანიების დაჯილდოების ცერემონია.

თუ თქვენი ბიზნესი დაინტერესებულია გახდეს მისაბამი მაგალითი ქალთა თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით, გთხოვთ, შეავსოთ განაცხადის ფორმა და დაგვიბრუნოთ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: geb@mcageorgia.ge

შევსებული განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2018 წლის 16 თებერვალი.

კომპანიის სახელი	
კომპანიის იურიდიული მისამართი, ტელეფონი, ვებგვერდი	
კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი ან ხელმძღვანელი	
იმ პიროვნების სახელი და თანამდებობა, რომელიც ავსებს განაცხადის ფორმას	
იმ პიროვნების ელ-ფოსტა და მობილური ტელეფონი, რომელიც ავსებს განაცხადის ფორმას	

დასაბუთება

გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია, თუ როგორ აღწევს თქვენი ორგანიზაცია გენდერულ თანასწორობას სამუშაო ადგილებზე ქალების განათლების, სწავლებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის გზით. ეცადეთ მოიყვანოთ კონკრეტული მაგალითები, აღწერეთ კონკრეტული ღონისძიებები და მიღებული შედეგები. შეგიძლიათ მოიყვანოთ არაერთი მაგალითი. ¹

<p>1. ავითარებს თუ არა თქვენი კომპანია ისეთ შიდა საორგანიზაციო პოლიტიკას და/ან პროგრამებს, რომელიც ხელს უწყობს ქალების სრულფასოვან ჩართვას დასაქმების სფეროში და რა შედეგები დაგანახათ ამ ქმედებებმა</p>	
<p>2. რა გზით ახდენს თქვენი კომპანია ქალების პროფესიული ზრდა-განვითარების ხელშეწყობას (ეკონომიკური საქმიანობის ყველა დონეზე და ყველა სექტორში, მათ შორის არა-ტრადიციულ დარგებში და ხელმძღვანელ პოზიციებზე) და რა შედეგები დაგანახათ ამ ქმედებებმა</p>	
<p>3. უზრუნველყოფს თუ არა თვენი კომპანია საკუთარ თანამშრომლებს თანაბარი წვდომით საგანმანათლებლო რესურსებსა და საკვალიფიკაციო პროგრამებზე, პროფესიული დახელოვნების, უცხო ენისა და კომპიუტერის შემსწავლელი კურსების ჩათვლით და რა შედეგები დაგანახათ ამ ქმედებებმა</p>	
<p>4. რა გზით ეხმარება თქვენი ორგანიზაცია თანამშრომლებს ფორმალური და არა-ფორმალური პროფესიული კონტაქტების დამყარებაში; ახმარს თუ არა ახალბედა თანამშრომლებს გამოცდილ კადრებს და რა შედეგები დაგანახათ ამ ქმედებებმა</p>	
<p>5. ჩამოაყალიბეთ ბიზნეს მაგალითი, თუ როგორ ახდენს თქვენი კომპანია ქალების გაძლიერებას, როგორ მოქმედებს ინკლუზიური გარემო კომპანიის თანამშრომელ ქალებსა და კაცებზე, კომპანიის განვითარებასა და მდგრადი ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე</p>	
<p>6. რა გზით ეხმარება თქვენი კომპანია დაუცველ ქალებს მიიღონ პროფესიული განათლება, ჩაერთონ სასწავლო პროგრამებში და რა შედეგები დაგანახათ ამ ქმედებებმა</p>	

¹ მაგალითების ნიმუშები:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ქალთა კარიერული განვითარების ხელშეწყობისთვის, აშშ-ის ერთ-ერთმა ტექნოლოგიურმა კომპანიამ დაამყარა და განავითარა სტრატეგიული თანამშრომლობა იმ ქვეყნების ქალთა ორგანიზაციებთან, სადაც ის საქმიანობს. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას და საინფორმაციო ტექნოლოგიებში ქალთა მიღწევების წარმოჩენას;
- ევროპის ერთ-ერთი მსხვილი საავიაციო კომპანია თანამშრომლობს ახალგაზრდობასთან, ერთობლივად ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს, რათა დაძლიოს ტრადიციული წინაღობა, რომელიც ზღუდავს როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს კონკრეტულ სამუშაო ადგილებზე;
- ფინანსური მომსახურების სფეროში მოღვაწე მსხვილი ავსტრალიური კომპანია გვთავაზობს არაერთ ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს ქალების მხარდაჭერას ბიზნესის სფეროში. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივაა ინტერნეტ-პლატფორმის შექმნა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ავსტრალიელ

ქალებს, მსოფლიო მასშტაბით დაამყარონ კონტაქტი ბიზნესში ჩართულ სხვა ქალებთან და გაცვალონ ინფორმაცია და კარიერული რჩევები;

- ჩინურმა საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიამ ჩამოაყალიბა თანამშრომელ ქალთა კომიტეტები, რომელთა მიზანია ქალების საჭიროებებზე და ინტერესებზე მორგებული პროგრამების განხორციელება.

მეტი ინფორმაციისთვის:

გთხოვთ, მიმართოთ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს გენდერული და სოციალური საკითხების ინტეგრირების დირექტორს, ქეთევან მამინაიშვილს, ტელ. 555 522270; ელ. ფოსტა: kmaminaishvili@mcageorgia.ge

შეიტყვეთ მეტი ათასწლეულის გამოწვევის ფონდის შესახებ: www.mcageorgia.ge და <https://www.facebook.com/MCAGeorgia/?fref=ts>

შეიტყვეთ მეტი ქალთა უფლებრივი გაძლიერების შესახებ: <http://weprinciples.org/Site/PrincipleOverview/>

შეიტყვეთ მეტი გაეროს ქალთა ორგანიზაცია - საქართველოს შესახებ: <http://georgia.unwomen.org/en>

გმადლობთ, რომ დაინტერესდით.